

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## ურთიერთსწავლება-შეგნებული კითხვის უნარის განვითარება

ზოია გრაფიშვილი

ქ.ფოთის XI საჯაროსკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებელი

### **რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ურთიერთსწავლების მეთოდის უპირატესობები შეგნებული კითხვის უნარის განვითარებისას, წარმოდგენილია ამ მეთოდზე დაფუძნებული საგაკვეთილო პროცესის სტრუქტურა. განხილულია კონკრეტული კოგნიტური და მეტაკოგნიტური აქტივობების მნიშვნელობა და სხვადასხვა ეტაპები, როგორცაა კითხვის დასმა, ბუნდოვანი ადგილების ახსნა, ვარაუდების გამოთქმა და შეჯამება, რომლებსაც მოსწავლეები ჯგუფურად ასრულებენ მასწავლებლის მიერ შექმნილი სპეციალური დიდაქტიკური მასალის დახმარებით. საბოლოოდ, ხდება მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული საპრეზენტაციო სქემის საშუალებით.

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლმხედველობა, შეგნებული კითხვა, აქტივობები, ვარაუდების გამოთქმა, სქემის ნიმუში, შემაჯამებელი შეკითხვები

ქართული ენა და ლიტერატურა სასწავლო საგნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა, ამავე დროს ქმნის ბაზისს ადამიანის მსოფლმხედველობის, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და პიროვნული ზრდისთვის.

ჩემს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შევავარო მოსწავლეს კითხვა, გამოვუმუშავო ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის აღქმისა და გაცნობიერების უნარი.

ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთკავშირის გააზრებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოსა და საგნის სწავლების მეთოდებს.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

მინდა გიამბოთ ურთიერთსწავლების მეთოდის შესახებ, რასაც ეფექტურად ვიყენებ შეგნებული კითხვის უნარის გასავითარებლად. მეთოდი ეფექტურია საბაზო საფეხურზე, როგორც აღწერით, ისე თხრობით ტექსტებზე სამუშაოდ.

ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენების დროს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის ირგვლივ მუშაობას დიალოგის ფორმატში ვაწარმოებ, სხვადასხვა კოგნიტური, სააზროვნო, აზროვნების სფეროსთან დაკავშირებული და მეტაკოგნიტური [აზროვნება, დაკვირვება საკუთარი აზროვნების პროცესზე]

**აქტივობებით: კითხვების დასმა, ბუნდოვანი ადგილების ახსნა, ვარაუდების გამოთქმა, შეჯამება.**

აქტივობის მსვლელობის დროს მოსწავლეები მუშაობენ ტექსტზე, ცდილობენ ჩასწვდნენ ტექსტის შინაარსს და გაიაზრონ მასში შემავალი ინფორმაცია.

მეთოდი გულისხმობს 4 აქტივობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შეგნებული კითხვის უნარის გასავითარებლად.

**კითხვების დასმა.** კარგი მკითხველი სვამს შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ, რაც ეხმარება მას კითხვის პროცესში გაიაზროს შინაარსი. მოსწავლეებს ევალუატირებათ გაიაზრონ კონტექსტი და დასვან სხვადასხვა ტიპის შეკითხვები. ხშირად შეიძლება ჯგუფში გაჩენილმა კითხვამ დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, ამ შემთხვევაში ჩემი ჩარევით ისინი თავიდან უბრუნდებიან ტექსტს, რათა უკეთ გაიგონ. ამგვარად, კითხვების დასმა ეფექტურს ხდის გაგების პროცესს.

**ახსნა-განმარტება.** კარგი მკითხველი კითხვის პროცესში, იქ, სადაც უცნობ სიტყვას ან ბუნდოვან მოსაზრებას აღმოაჩენს, ჩერდება და ცდილობს გაიაზროს კონკრეტული სიტყვისა და წინადადების შინაარსი.

ეს ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ჰგონიათ, რომ კითხვის მიზანი, მხოლოდ სიტყვების სწორად ამოკითხვაა და ტექსტის მიღმა რა იგულისხმება მათთვის უმნიშვნელოა. ახსნა-განმარტების ფაზაზე მათ მოეთხოვებათ გაარკვიონ და ნათელი მოჰფინონ ბუნდოვან ადგილებს.

ვარაუდების გამოთქმა შესაძლებელია, როგორც ტექსტის წაკითხვამდე, ისე მისი წაკითხვის შემდგომ. პირველ შემთხვევაში მოსწავლეს ეხმარება სათაური, ილუსტრაციანი ქვეთავი, მეორე შემთხვევაში კი მას უწევს თვით ტექსტში მოძებნოს მცირე მინიშნებები.

მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები და დაფიქრდნენ, რა შეიძლება მოხდეს ტექსტის მომდევნო მონაკვეთში, ამიტომ ისინი ცდილობენ ყურადღებით გაეცნონ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ტექსტს, რათა მხედველობიდან არ გამორჩეთ ავტორის მინიშნებები, შემდეგ ადასტურებენ, ან უარყოფენ მათ მიერ გამოთქმულ ვარაუდებს.

**შეჯამება.** ეს ცოტა უფრო რთული ეტაპია კითხვის დროს. მოსწავლეებს უჭირთ ლაკონურად და გასაგებად გადმოსცენ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ამიტომ მათ ვავალებ იმსჯელონ საკვანძო დეტალების შესახებ, რაც მათთვის უფრო გასაგებს ხდის, როგორ ამოკრიბონ ტექსტიდან მთავარი ინფორმაცია და მათი სინთეზი მოახდინონ. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ შეჯამების, ანალიზისა და წაკითხულის გააზრების უნარები და მოაზროვნე მკითხველებად ყალიბდებიან, ეფექტურად იყენებენ წინარე ცოდნას ტექსტის გააზრების დროს. კითხვის დროს აკვირდებიან ტექსტის გაგების პროცესს და აზუსტებენ გაუგებარ-ბუნდოვან ადგილებს, ყურადღებას ამახვილებენ ძირითად და საკვანძო ადგილებზე, ახდენენ ინფორმაციის სინთეზს კითხვის პროცესში, გამუდმებით აკეთებენ აღმოჩენებს, როგორც ტექსტის კითხვისას, ისე მისი წაკითხვის შემდგომ. სვამენ შეკითხვებს.

შეუძლიათ ტექსტის არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ გააზრება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუშაობის ეს მეთოდი ავალდებულებს ყველას, აქტიურად ჩაერთოს პროცესში და თამამად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, გარდა ამისა, ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი უნარის მქონე მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას. ხშირად ვცვლიაქტივობებს, ზოგჯერ ვამატებ მეხუთე აქტივობას, ვიზუალიზების დამატებას, მოსწავლეებმა უნდა შექმნან ილუსტრაციები, ანუ წარმოადგინონ და გააკეთონ ჩანახატები წაკითხულ ეპიზოდზე, რაც ხელს უწყობს წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარის განვითარებას.

აღნიშნულ მეთოდს ვიყენებ აღწერითი ან თხრობითი ტიპის ტექსტის სწავლების დროს, რომელიც საშუალებას მაძლევს, მოსწავლეები ჯგუფებში ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენებით ვამუშაო, ამიტომ ვითვალისწინებ ტექსტის მოცულობასა და შინაარსს, რომ ჯგუფის წევრებმა შეასრულონ მეთოდით გათვალისწინებული ყველა ტიპის სამუშაო, ანუ მისი თითოეული ნაწილის ირგვლივ დასვან კითხვები, დააზუსტონ ბუნდოვანი ადგილები ან ტერმინები, შეაჯამონ წაკითხული მონაკვეთი და გამოთქვან ვარაუდები.

ტექსტის შერჩევის შემდეგ, თითოეული ჯგუფისათვის ვქმნი სახელმძღვანელო სქემას, სადაც კონკრეტულადაა მითითებული მოვალეობები.

სქემის ნიმუში:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

1. კითხვების დამსმელი-სვამს შეკითხვებს წაკითხული ტექსტის ირგვლივ. მაგალითად:

1. რატომ?

2. როგორ არის აღწერილი?

2. ამხსნელი აზუსტებს ტექსტში არსებულ გაუგებარ სიტყვებს და ბუნდოვან ადგილებს:

1. რას ნიშნავს სიტყვა?

2. როგორ გესმით ფრაზა?

3. ვარაუდების გამომთქმელი-გამოთქვამს ვარაუდებს მომდევნო ეპიზოდიდან:

1. ჩემი აზრით

2. ამ ეპიზოდიდან გამომდინარე.

4. შემაჯამებელი ახდენს ტექსტის შეჯამებას და სვამს შესაბამის შეკითხვებს:

1. რა არის მთავარი იდეა?

2. ძირითადად რაზეა საუბარი?

გამზადებ სამუშაო ფურცლებს ჯგუფის წევრებისათვის, სადაც მივუთითებ რისთვის არის განკუთვნილი, ანუ მასზე უნდა იმუშაოს კითხვების დამსმელმა, შემაჯამებელმა, ვარაუდების გამომთქმელმა. გამოვყოფ თავისუფალ სივრცეს, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს.

ხანდახან ამ სამუშაო ფურცელს ორიგინალურ სახეს ვაძლევ, დავურთავ რაიმე ილუსტრაციას, რაც უფრო მეტად განაწყობს მოსწავლეებს სამუშაოდ.

ასევე მაქვს საპრეზენტაციო სქემა, სადაც განთავსდება მათი სამუშაო ფურცელი და საბოლოოდ შეჯამდება ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობა.

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის თითოეული წევრი ახდენს საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას და სამუშაო ფურცლებს ათავსებს მათთვის განკუთვნილ სქემაში.